



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ველის კატა



ველის კატა, ხ ა ლ ი ა ნ ი კ ა ტ ა (Felis libyca caudata), მტაცებელი ძუძუმწოვარი კატების გვარისა. სხვა კატებთან შედარებით ტანად პატარაა, შინაური კატის ტოლი. სხეულის სიგრძე 60-70 სმ, კუდი 30-35 სმ, სიმაღლე მინდაომი 27-30 სმ, მასა 5 კგ აღწევს. აქვს დაბალი, ნაზი ბეწვი, მორუხონაცრისფერ სხეულზე – შავი ხალები, კუდზე – შავი რგოლები, წვერში – შავი ფუნჯი. ყელსა და მუცელზე გასდევს თეთრი

არშია, რ-იც კიდურებზე გადადის. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კუნძულზე, სირიასა და პალესტინაში, არაბეთში, ერაყსა და ირანში, ავღანეთში, ინდოეთსა და ჩინეთში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში – კერძოდ, აზერბაიჯანში. საქართველოში ნაპოვნია ბორჯომთან, სოფელ გომნაში. ბინადრობს კულტ. ლანდშაფტის მოსაზღვრე ბუჩქნარ, ქვანაყარ ადგილებში. იკვებება მღრღნელებითა და ფრინველებით. მძუნაობს თებერვალ-მარტში. 63 დღის შემდეგ შობს 4-6 უსუსურ კნუტს. სარენაო მნიშვნელობა არა აქვს. მცირერიცხოვანია. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“.
